ნათია ზედგინიძე*

ევროინტეგრაციის პროცესი და პოლიტიკური პოლარიზაციის გამოწვევები საქართველოში

აბსტრაქტი

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია დაკავშირებულია მრავალი სტრუქტურული რეფორმის განხორციელებასთან, რაც გულისხმობს ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების დამკვიდრებას. აღნიშნულ პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა პოლიტიკური პოლარიზაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ და სამართლებრივ განვითარებას.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელია უკიდურესი პოლარიზაცია და მუდმივი მტრის ხატის ძიება, რაც განპირობებულია სამართლებრივი და მორალურ-ზნეობრივი აზროვნების კულტურის ნაკლებობითა და ვიწრო პარტიული, ან კლანური ინტერესებით. აღნიშნული პროცესი სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას და ჯანსაღი საზოგადოების განვითარებას. მოცემულ ვითარებაში პოლიტიკური ველზე არ რჩება შესაძლებლობა ზომიერი, რაციონალური დისკურსისა. პიროვნებები, რომლებიც არცერთ რადიკალურ ჯგუფს არ მიაკუთვნებენ თავს, ფაქტობრივად, უგულვებელყოფილნი არიან რეალური პოლიტიკური პროცესიდან, რაც მათ გაუცხოებასა და აპათიას იწვევს.

სოციალური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა, დიალოგი და კონსესუსი დემოკრატიული, პლურალისტური საზოგადოების არსებობის არსებითი ნაწილია. ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საქართველო გამოვიდეს პოლარიზაციის ჩაკეტი-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

ლი, მანკიერი წრიდან, რომელმაც რამდენიმე ათეული წელია სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა. პოლარიზაციის დასაძლევად, გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს როგორც პოლიტიკოსებმა, ისე საზოგადოების წევრებმა გააცნობიერონ, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობის აღება, უპირველეს ყოვლისა ეროვნული ინტერესების დაყენება და საერთო მიზნის გარშემო გონივრული და ერთობლივი ძალისხმევა არის სახელმწიფოს განვითარების წინაპირობა.

საკვანძო სიტყვები: პოლარიზაცია, საქართველო, ევროინტეგრაცია

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ქვეყნის ევროპული მისწრაფებები მკაფიოდ გამოიხატა, რაც მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არის მხარდაჭერილი. (Commission, 2022) ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა(NDI) და CRRC მიერ, 2023 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების 79 პროცენტი მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციასა და ევროკავშირში გაწევრიანებას. (NDI, 2023) გარდა ამისა, აღნიშნული მისწრაფება 2017 წელს კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში აისახა და ხელისუფლების საკონსტიტუციო ვალდებულებად იქცა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოცემულ საკითხს არაერთგვაროვანი პოზიცია მოჰყვა. (კუნჭულია, 2017)

ზემოაღნიშნული წადილი გახდა საქართველოში მრავალი სტრუქტურული რეფორმის საფუძველი, რომლებიც მიზნად ისახავს ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების დამკვიდრებას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ რთული და კომპლექსური საკითხია.

ქვეყნის ევროპულ ღირებულებებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა დაკავშირებულია მთელ რიგ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებთან, რაც საჭიროებს ევროკავშირის ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და მათი გამოცდილების გაზიარებას. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს პოლიტიკური პოლარიზაცია. (Commission, 2022) სწორედ აღნიშნულ საკითხს უჭირავს პირველი ადგილი ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის 2022 წელს მიცემული რეკომენდაციების 12 პრიორიტეტულ მიმართულებაში, რომლის მიხედვითაც პოლარიზაციის საკითხი უნდა მოგვარდეს პოლიტიკური თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით და 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით. (Comission, 2022)

2023 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც განხილული იყო საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესი და არსებული პრობლემები. რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ პოლიტიკური პოლარიზაციის უკიდურესი ხასიათი გავლენას ახდენდა ქვეყანაში რეფორმების განხორციელებასა და აღნიშნულ პროცესში მხარეების მონაწილეობაზე, რაც საჭირო იყო საქართველოს შემდგომი კონსოლიდაციისა და ქვეყნის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისთვის. (Europe C. O., 2023)

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ საქართველო ევროპული ინტეგრაციის პროცესში კრიტიკულ გზაგასაყარზე იმყოფებოდა. მოუწოდებდნენ საქართველოს ხელისუფლებასა და ყველა პოლიტიკურ ძალას გადაელახათ უკიდურესი შუღლი და პოლარიზაცია, გვერდზე გადაედოთ ვიწრო პარტიული ინტერესები

და ერთად ემუშავათ ევროკომისიის მიერ რეკომენდირებულ პრიორიტეტებზე. ამასთანავე, ხაზს უსვამდნენ, რომ პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრა არსებითი მნიშვნელობის იყო, რაც საჭიროებდა ყველა ძალის პოლიტიკურ ნებას, იმისათვის რომ შეეცვალათ საკუთარი ქცევა და დამოკიდებულებები. (Council of Europe, 2023)

პოლიტიკური პოლარიზაციის პროცესი შესაძლოა ახასიათებდეს ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემას, იქნება ეს ლიბერალური დემოკრატიები თუ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნები. (გოგუა, 2019) საქართველო, რომელიც დემოკრატიული განვითარების პროცესს გადის, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პოლარიზებულ ქვეყნად იქცა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია ნაკლებად ეფუძნება იდეოლოგიურ განსხვავებებს. ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკური სუბიექტების უმრავლესობა აქტიურად ემხრობა ბაზრის განვითარებასა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას, თუმცა ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაცია ძირითადად ვლინდება ორ წამყვან პარტიას „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დაპირისპირებაში. (გელაშვილი, 2021)

სახელმწიფოში, სადაც პოლიტიკური პოლარიზაციის შემთხვევები იზრდება, ფაქტობრივად, ადგილი აქვს დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, პლურალიზმის არაჯანსაღ გამოვლინებას, რაც გამოიხატება პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაციაში. (გოგუა, 2019) პოლიტიკური პოლარიზაცია მეტად საშიშ ფორმას იღებს, როდესაც პოლიტიკური აქტორები, ნაცვლად კონსტრუქციული დიალოგისა და დემოკრატიული თამაშის წესებით მოქმედებისა, იწყებენ მტრის ხატის შექმნასა და საზოგადოების ორ

მტრულ ბანაკად დაყოფას. შედეგად ჯანსაღი პლურალიზმის ნაცვლად საქმე გვაქვს, „მავნე პოლარიზაციასთან“. (ქუტიძე, 2024) ამგვარ ვითარებაში ვიღებთ გახლეჩილ და ანტაგონისტურად განწყობილ საზოგადოებას, სადაც ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე დიალოგი და კონსესუსის მიღწევა, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის სამართლებრივ და დემოკრატიულ განვითარებას, საზოგადოებაში სტაბილური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, ეროვნულ კონსოლიდაციასა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესს.

საბჭოთა მემკვიდრეობა და მტრის ხატის შექმნა: პოლიტიკური პოლარიზაციის მიზეზები საქართველოში

პოლარიზაციამ, მოიაზრება რა საზოგადოების ერთმანეთთან შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფად, ნაკლებ სავარაუდოა, საზოგადოებრივი განვითარების პროცესებზე დადებითი ზეგავლენა მოახდინოს, ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა. (ჩიქოვანი, 2023) დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პოლარიზაციასა და რადიკალური მოვლენების განვითარებასთან. ზვიად გამსახურდიას დამხობა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ეთნოკონფლიქტები, შეიარაღებული დაპირისპირებები, ხელისუფლების გადატრიალებით ცვლა, პოლიტპატიმრების ტალღა, პოლიტიკური ოპონენტების სისხლის სამართლებრივი დევნა და მსგავსი რადიკალიზმი ნიშანდობლივი იყო საქართველოსთვის. (ცქიტიშვილი, 2016)

დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან პოლარიზაციის გამო მნიშვნელოვნად შეფერხდა ქვეყნის განვითარების პროცესი, ვინაიდან, არსებული დრო, ენერგია და რესურსები, მათ შორის ინ-

ტელექტუალური, გახარჯულ იქნა შეურიგებლობისა და ურთიერთდაპირისპირების დასაბუთებისა თუ გადალახვის მცდელობებზე, ვიდრე დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის საჭიროებებზე. (ჩიქოვანი, 2023)

საქართველოში 28 ოქტომბერს ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდგომ ხელისუფლებაში მოვიდა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“, სადაც საკმაოდ მალე გაჩნდა ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფები, რომელთაგანაც თითოეული დარწმუნებული იყო საკუთარ სიმართლეში და ერთმანეთის მოსმენის მზაობა არ ჰქონდათ. პარლამენტში მყოფი სხვადასხვა ძალებისა და საზოგადოების ურთიერთობა, რომლებიც მოგვიანებით სამოქალაქო ომში ერთმანეთის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ საკმაოდ მძიმე გამოცდილებას წარმოადგენს, რაც დღემდე გავლენას ახდენს მიმდინარე პროცესებზე. (ჩიქოვანი, 2023)

დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობა სერიოზულად შეაფერხა დახლეჩამ, დაპირისპირებამ და ერთმანეთის არმოსმენამ. 9 აპრილს საზოგადოება ყველაზე ერთიანი იყო, თუმცა ეს ერთიანობა მალევე დაიკარგა. სხვადასხვა ძალები ცდილობდნენ, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობები თავიანთი პოლიტიკური მიზნების სასარგებლოდ გამოეყენებინათ, თუმცა ყველა გაურბოდა პასუხისმგებლობის აღებას შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. (ჩიქოვანი, 2023)

სტივენ ჯონსის მიხედვით, ოთხი ძირითადი ფაქტორი იყო ეროვნული მოძრაობის დასუსტების განმაპირობებელი, რაც თანამედროვე ქართული პოლიტიკისთვისაც არის ნიშნეული. ავტორი, პირველ ფაქტორად გამოჰყოფს პიროვნულ კონფლიქტებსა და „სპლიტიზმს“-რაც გულისხმობს ორგანიზაციულ, ვიწრო პატრიოტიზმს, რომელმაც ერთმანეთთან იდეოლოგიურად ახლოს მყოფი

პოლიტიკური დაჯგუფებები დაანაწევრა და ფაქტობრივად, მათი ერთიანი მოქმედება შეუძლებელი გახადა. მეორე ფაქტორად ასახელებს შინაგანად ავტორიტარულ, ერთმანეთთან კონკურენციაში ჩაბმულ პარტიებს, რომლებიც ძლიერი ლიდერის გარშემო იყვნენ გაერთიანებულნი. მესამე ფაქტორს წარმოადგენს აგრესიული ტაქტიკა, რომელიც ვლინდებოდა ძალაუფლებისთვის რევოლუციური, საყოველთაო ჩხუბისა და უხეში ბრძოლის ფორმით, რაც სრულიად უგულვებელყოფდა ყოველგვარი წესების, ტრადიციებისა და პოლიტიკური პროცესის არსებობას. ფაქტობრივად, ლიდერების უმრავლეს ნაწილმა მემკვიდრეობით მიიღო ცილისწამებისა და დირექტივების გაცემის საბჭოური პრაქტიკა. ბოლო ფაქტორი, სტივენ ჯონსის მიხედვით, იყო იმგვარი საზოგადოების არარსებობა, რომელიც შეძლებდა პოლიტიკურ პარტიებს შორის შუამავლის როლი ეკისრა. პარტიები ზემოდან იქმნებოდა და არ არსებობდა ორგანიზებული სოციალური ინტერესი ქვემოდან. (გეგეშიძე & ვაალი)

სამოქალაქო დაპირისპირებამ და იმ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო მტრის ხატის ძიების სურვილს. აქედან გამომდინარე, ხშირად ხდება მტრის ხატის პოვნა სხვა ეთნიკურ ან პოლიტიკურ ჯგუფებში, შიდა თუ გარე ძალებში. ფაქტობრივად, არასდროს ხდება ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და დაშვებულ შეცდომებში მიზეზების ძიება. (ჩიქოვანი, 2023)

საქართველოში ხშირია საუბრები საბჭოთა მემკვიდრეობის ნეგატიურ ასპექტებზე, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, იშვიათად ხდება ხაზგასმა საკუთარ პასუხისმგებლობაზე. გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საკმაო დრო გავიდა, შეიცვალა თაობები, რომლებიც შესაძლოა გარკვეულწილად განიცდიდეს საბჭოთა მემკვიდრეობის გავლენას, თუმცა არა

იმ მასშტაბით, როგორც მათი წინამორბედნი. მიუხედავად ამისა, იმდენად მძლავრი იყო საბჭოთა მემკვიდრეობა, რომ ცნობილი ფორმულა - „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ - დღესაც აქტიურად მოქმედებს. (ჩიქოვანი, 2023)

საბჭოთა პერიოდმა განამტკიცა საზოგადოება, რომელიც საკუთარი წილი პასუხისმგებლობის აღებას არ არის მიჩვეული. შედეგად, დღესაც ხშირია მაყურებლის როლში ყოფნა და სხვის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე რეაგირებით კმაყოფილება. (ჩიქოვანი, 2023)

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება ხშირად კალაპოტიდან ამოაგდო. ამ ადამიანებს დღესაც უჭირთ საერთო გზის პოვნა, ვინაიდან, ისევ და ისევ უბრუნდებიან იმ მძიმე წარსულ გამოცდილებას, რომლის გადალახვაც ვერ მოხერხდა. ამის მთავარი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ ხალხმა ერთმანეთთან საუბარი ვერ შეძლო, აღნიშნული პრობლემა კი დღესაც გრძელდება. (ჩიქოვანი, 2023) კვლავაც ბუნდოვანია რამდენად იქნება შესაძლებელი ევროპული მისწრაფებების შესრულება, ვინაიდან, პოლიტიკური პოლარიზება და დაპირისპირებები პროცესს მეტად ართულებს. აუცილებელია, „არაკონფრონტაციული პათოსის აღზრდა“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის მისაღწევად მრავალი მეთოდი არსებობს, საქართველოს რეალობაში ნაკლებად გამოიყენება. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია, ტოლერანტობის სწორად გაგება. ვინაიდან, ტოლერანტობა არ ნიშნავს მხოლოდ სხვისთვის გვერდით ყოფნის შესაძლებლობის მიცემას, არამედ მოიაზრებს ერთმანეთის აღიარებას ისეთებად, როგორებიც ვართ და ერთმანეთისკენ გზების ძიებას. აუცილებელია, დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინება და კონკრეტული დადებითი თუ უარყოფითი მაგალითების განხილვა,

შეცდომების აღიარება და მათი სწორი ანალიზი უკეთესი მომავლის ფორმირებისთვის, რაც საჭიროებს ჩვენს სურვილსა და თანმიმდევრულ მუშაობას. (ჩიქოვანი, 2023)

თანამედროვე პოლიტიკური კრიზისები და პოლარიზაცია საქართველოში

მკვეთრი პოლარიზაციით ხასიათდება თანამედროვე ქართული პოლიტიკაც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ძირითადად ორ პოლიტიკურ პარტიას - „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მიმდინარეობს დაპირისპირება. პოლიტიკოსთა მხრიდან ხშირია სიძულვილის ენის გამოყენება, ღირსების შემლახველი განცხადებების გავრცელება და ერთმანეთის დადანაშაულება „მოღალატეობრივ“ ქმედებებში, რასაც ხშირად აჟღერებენ მიკერძოებული სატელევიზიო პლატფორმების საშუალებით. აღნიშნული მდგომარეობა მეტად საშიშია, რადგან საზოგადოების გახლეჩას იწვევს, დემოკრატიულ პროცესებს აყენებს საფრთხის ქვეშ, ხელს უშლის სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას და ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. (გეგეშიძე & ვაალი)

პოლიტიკოსების შეხედულებით, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში, მიიჩნევენ რომ პოლარიზაციის ძირითადი ნიშანი არის მტრის ხატზე აგებული პოლიტიკა და ორი პოლიტიკური ძალის მუდმივი დაპირისპირება. (ცქიტიშვილი, 2016)

ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ 2011 წელს თავის განცხადებებში ხშირად უსვამდა ხაზს, რომ „შუა უნდა გაკრეფილიყო“. მისთვის ვითომ შუაში მდგომი და სინამდვილეში ორპირი ხალხი წარმოადგენდა დიდ საფრთხეს, რომლებიც თამაშობდნენ თითქოს

არცერთ პოლიტიკურ მხარეს მიაკუთვნებდნენ თავს. ივანიშვილისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო პოლარიზაციის არსებობა, თუმცა არა სამოქალაქო დაპირისპირების მაპროვოცირებელი, არამედ ისეთი, რაც ხალხს „თეთრის“ და „შავის“ გარჩევის შესაძლებლობას მისცემდა. (ანთაძე, 2011)

უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა ივანიშვილი „ორპირებისგან“ განასხვავებდა იმ ხალხს, რომელთაც არ სურდათ რომელიმე მხარეზე დგომა, ჩუმად იყვნენ და პროცესებზე ზემოქმედებას არ ახდენდნენ. „მათთან პრობლემა არ მაქვს. ასეთები ტელევიზიით არ გამოდიან. ეს კარგი ხალხია. მე მოთამაშე-მოლაპარაკეებს ვამხელ, საჯაროდ რომ გამოდიან და გვატყუებენ. თორემ, ღმერთმა გაუმარჯოს იმ ადამიანებს რომლებიც თავისთვის არიან, სულ ეჭვით გიყურებენ“,-აცხადებდა ივანიშვილი.

ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილი აყალიბებდა დიქოტომიურ ხედვას, სადაც საზოგადოებას არჩევანი შავ-თეთრ სისტემაში, მასსა და მიხეილ სააკაშვილს შორის უნდა გაეკეთებინა. მის მიერ წახალისებული პოლიტიკური პოლარიზაცია, რეალურად გამორიცხავდა ყოველგვარ კომპრომისს. ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვანი მდგენელია პლურალიზმი და კონსესუსზე დაფუძნებული პოლიტიკა, სადაც შუალედური პოზიციები და ცენტრისტული პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა პოზიციების ჰარმონიულ გაერთიანებაში. ამგვარად, საქართველოს რეალობაში ხისტი პოლარიზაციის წახალისება, პოლიტიკური პროცესიდან გამორიცხავს შეთანხმების, დიალოგისა და დისკუსიის შესაძლებლობას, რაც არსებითია მრავალფეროვანი დემოკრატიის არსებობისა და პოლიტიკური სტაბილურობისათვის.

გარდა ამისა, არსებული პოლიტიკური პოლარიზაციისა და დიქოტომიური ხედვის ფონზე, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც განსხვავებული ხედვა აქვთ გარიყული და უგულვებელყოფილია. ფაქტობრივად, საზოგადოების ამ ნაწილს არ აქვთ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და საკუთარი ინტერესების დაცვის რეალური შესაძლებლობა, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ქვეყანა აცდენილია დემოკრატიული განვითარების ვექტორსა და ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესს.

საქართველოში პოლიტიკურ პოლარიზაციას კიდევ უფრო ამწვავებს პოლიტიკის პერსონალიზაცია და ე.წ. ჩრდილოვანი ლიდერები, რომლებიც კულისებიდან აკონტროლებენ ძალაუფლებას. „ქართული ოცნებისა“ და ენმ-ის არაფორმალური ლიდერები - ბიძინა ივანიშვილი და ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პოლიტიკის რადიკალიზაციაში. (გელაშვილი, 2021)

განსაკუთრებით, არჩევნების პერიოდში იკვეთება ტენდენცია პოლარიზაციის პოლიტიკურ კრიზისამდე მიყვანისა. (EEAS, 2021) აღნიშნულ პერიოდებში პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირებები ხშირად სისხლიან შეტაკებაში გადაიზრდება, რაშიც ამომრჩეველიც არის ჩართული. (ცქიტიშვილი, 2016)

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცერმა განაცხადა, რომ დემოკრატიული პროცესებისა და ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო პროცესს დააკვირდებოდა ევროპელ დიპლომატთა გუნდი. „ჩვენთვის და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებისათვის მთავარია არა ის, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, არამედ ის, თუ როგორ იქნება მოპოვებული ეს გამარჯვება“. (EEAS, 2020)

პოლარიზაცია განსაკუთრებით გამწვავდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, რასაც ღრმა პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა. (მაისტერი, 2021) ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს საპარლამენტო არჩევნებს და უარს ამბობდნენ მანდატებზე. ევროკავშირის ჩართულობამ ხელი შეუწყო 2020 წლის 8 მარტსა და 2021 წლის 19 აპრილს მიღწეულ შეთანხმებებს. ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ძალისხმევის შედეგად, პოლიტიკურმა სუბიექტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 19 აპრილს, რამაც პოლიტიკური ბოიკოტი დაასრულა და პარლამენტს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების შანსი მისცა (ამერიკის ხმა, 2020). თუმცა, ამ შემთხვევაშიც იჩინა თავი პოლიტიკურმა პოლარიზაციამ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უარს აცხადებდა დოკუმენტის ხელმოწერაზე. 28 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ შეთანხმება ანულირებულად გამოაცხადა და გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ შეთანხმების მთავარი მიზანი პოლარიზაციის დაძლევა და რადიკალიზაციის შემცირება ვერ მოხერხდა და პირიქით, უფრო გამწვავდა. გარდა ამისა, მმართველი პარტიის მხრიდან, ერთ-ერთ მიზეზად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შეთანხმების ხელმოწერაზე უარი დასახელდა. (რადიო თავისუფლება, 2021) აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე თვის შემდგომ, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიამ 2 სექტემბერს ევროკავშირის ოფისში ხელი მოაწერა ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მიერ ინიცირებულ შეთანხმებას. (რადიო თავისუფლება, 2021)

საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია ნაკლებად ატარებს იდეოლოგიურ ხასიათს. (ჩხეტიანი, 2022) „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართული ოცნებას“ შორის არსებული დაპირისპირება ზემოდან ქვემოთ არის მიმართული და თითოეული

პარტიის ირგვლივ არსებულ დაჯგუფებას შორის ბრძოლის ძირითადი მიზანი ეკონომიკურ რესურსებზე წვდომა, ქვეყანაში ძალაუფლების ფლობა და მთლიანი ნადავლის დასაკუთრებაა. (გეგეშიძე & ვაალი)

ექსპერტების მოსაზრებით, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის განმსაზღვრელი პრობლემა არის დომინანტი პოლიტიკური ძალის მიერ განსხვავებული აზრის მიუღებლობა, რასაც თან სდევს ყველა ოპოზიციური გაერთიანების მარგინალიზაციის მცდელობა. „არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ყველაფერი ჩემია და მოწინააღმდეგეს არაფერი არ უნდა დარჩეს“ - პრინციპი გულისხმობს ოპოზიციის მიერ გამოვლენილი ინიციატივების სრულ უარყოფას, თუნდაც ისინი ქვეყნისთვის სასიკეთო იყოს. პოლიტიკური ძალების რადიკალური ქცევა, ამომრჩეველზეც მოქმედებს, რაც ზრდის საზოგადოებაში აგრესიის დონეს. ამასთან, დევიზი „გამარჯვება ნებისმიერ ფასად, ნებისმიერი ფორმით“, გულისხმობს ოპონენტების დამნაშავედ და კრიმინალად წარმოჩენას, რათა გამართლებულ იქნას ძალადობრივი ფორმებითა და არჩევნების გაყალბების გზით მოწინააღმდეგის დამარცხება. (ცქიტიშვილი, 2016)

„ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაინტერესებული არიან არსებული პოლარიზაციის შენარჩუნებით, რაც მათ ელექტორატის მობილიზებაში ეხმარება და არ ტოვებს სივრცეს კონკურენტი პარტიებისთვის. (მაისტერი, 2021) აღნიშნული ძალების მიერ ურთიერდაპირისპირების პროცესის იმგვარად წარმოჩენა ხდება, თითქოს არ არსებობს ალტერნატივა და მოქალაქეებმა მათ შორის უნდა გააკეთონ არჩევანი. (გეგეშიძე & ვაალი) ამდენად, „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ურთიერთბრძოლით ცდილობენ ამომრჩევლის მიმხრო-

ბას და მრავალპარტიული გარემოს ფორმირებით არ არიან დაინტე-რესებულნი. (ცქიტიშვილი, 2016)

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლარიზების ერთ-ერთი მიზეზი არის ორპოლუსიანი პოლიტიკა. (ცქიტიშვილი, 2016) მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში იგრძნობა ალტერნატიულ ძალაზე მოთხოვნა, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქარ-თულ ოცნებას“ შორის არსებული დაპირისპირება, სხვა პარტიების მარგინალიზება და ამომრჩეველზე ზეწოლა გზას უღობავს ყველა პოტენციურ კონკურენტს. (გეგეშიძე & ვაალი) პოლიტიკური სუბი-ექტები უკეთესად გრძნობენ თავს პოლარიზებულ გარემოში, ამ-დენად, მათ სჭირდებათ კორცხელის მსგავსი ინციდენტები ამომ-რჩეველზე შთაბეჭდილების მოსახდენად. (ცქიტიშვილი, 2016)

საქართველოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, დაძლე-ულ იქნას არსებული პოლარიზაციის უკიდურესი ხასიათი. მოხდეს მრავალფეროვანი და პლურალისტური გარემოს ფორმირება, სადაც პოლიტიკური პარტიები აქტიურად იქნებიან ჩართულნი ქვეყნის-თვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში და პოლიტიკის დღის წესრიგს მხოლოდ ორი დაპირისპირებული პო-ლიტიკური ძალა არ განსაზღვრავს. მანკიერ წრეზე სიარულს გავაგ-რძელებთ თუ პოლიტიკური არსენალიდან არ გამოირიცხება ძალა-დობა და პოლიტიკოსები არ შეწყვეტენ ხელოვნურად მტრის ხატის შექმნას. (ცქიტიშვილი, 2016)

დემოკრატიულ გარემოში პარტიული უთანხმოებანი ჯანსაღი და მისაღებია, მაგრამ როდესაც პოლიტიკური რიტორიკა ორიენ-ტირებულია მხოლოდ ოპონენტის თავდასხმაზე და არა ქვეყნის-თვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაზე, ამგვარი უთანხმოებანი ქვეყნისთვის დამანგრეველ ხასიათს ატარებს. (Wiebler) გარდა ამისა, პოლიტიკური პოლარი-

ზაცია მოსახლეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილსა და დემოკრატიული სისტემისადმი რწმენას უკარგავს. შედეგად, საზოგადოებრივი აზრი აღარ წარმოადგენს მაკონტროლებელ ბერკეტს პოლარიზებული აქტორებისათვის. ამასთან, მუდმივად დაძაბულ გარემოში ყოფნა ხელს უშლის სახელმწიფო ინსტიტუტების გამრთულ ფუნქციონირებას. (გეგეშიძე & ვაალი)

ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა სულ უფრო მეტად მცირდება. რადიკალური დღის წესრიგის მქონე პოლიტიკური აქტორების წინა პლანზე გადმოსვლა და ორ მთავარ პარტიას შორის ხმაურიანი დაპირისპირებანი ზომიერი აქტორების ხმას ახშობს (გეგეშიძე & ვაალი) და ხელს უშლის ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებას. პოლიტოლოგი და ისტორიკოსი სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია არის პოლიტიკურ პარტიებს შორის და არა ხალხს შორის. მოქალაქეები შეთანხმებულნი არიან პრობლემებზე, რასაც საზოგადოებრივი კვლევები მოწმობს, პოლარიზაცია კი წარმოადგენს უფრო მეტად პარტიულ თამაშს. (ფორმულა, 2021) თუმცა აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში პოლარიზებული და რადიკალური აქტორები ხლეჩენ საზოგადოებას და თავად საზოგადოების შიგნით ამწვავებენ პოლარიზაციას. (გეგეშიძე & ვაალი)

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პოლიტიკურ პროცესში დომინირებენ პიროვნებები, რომლებიც პარტიებს პატრონაჟულ ქსელებად იყენებენ და ზემოდან ქვემოთ მართულ პოლიტიკურ კულტურას ამკვიდრებენ. ამგვარ პოლიტიკურ კულტურას ცნობილი მკვლევარი ილია რუბანისი „პლურალისტურ ფეოდალიზმს“ ადარებს. მოცემულ სისტემაში, „პოლიტიკოსებს არა-

ფერი აკავშირებთ ძალაუფლებასთან, არ არსებობს სოციალური მოთხოვნები, საზოგადოება არ საუბრობს საერთო ინტერესებზე“ და ნოყიერი ნიადაგი იქმნება რადიკალური, პოლარიზაციისკენ მიმართული, ავტორიტარული პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც უმეტესად ერთი ლიდერის სურვილზე მოქმედებენ. (გეგეშიძე & ვაალი)

არსებული პოლარიზაციისა და პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად, საჭიროა უარი ითქვას პერსონალიებზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე. პოლიტიკური ლიდერები გარკვეულ კომპრომისზე უნდა წავიდნენ და მიაღწიონ კონსესუსს. (Wiebler) ორ მტრულ ბანაკად დაპირისპირებულ გარემოში „აღარ არსებობს ე.წ. ცენტრი და პოლარიზებული ბანაკები ცდილობენ, საზოგადოების ყველა ინდივიდსა და ჯგუფს მიაკრან ერთი ან მეორე დაჯგუფების წევრის იარლიყი“. (ქუტიძე, 2024) საქართველოში მოქალაქეებს უნდა მიეცეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობა. (გეგეშიძე & ვაალი)

საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მოსალოდნელია პოლიტიკური პოლარიზაციის, დაპირისპირების გამწვავება და რადიკალური მოქმედებები, რაც ქვეყნისთვის სავალალო შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის შიგნით პოლიტიკური აქტორების ნება მიაღწიონ კონსესუსს და დაამკვიდრონ დემოკრატიული ოპონირების კულტურა, რაც გულისხმობს პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ისეთ ურთიერთობას, როდესაც მოწინააღმდეგე მოსისხლე მტრად არ აღიქმება და მასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა არსებობს. სამწუხაროდ, ამგვარი ტრადიცია საქართველოსთვის ჯერ-ჯერობით უცხოა. (ცქიტიშვილი, 2016)

დასკვნა

თანამედროვე საზოგადოებები ყალიბდება სოციალურ-პოლიტიკური პროგრამებისა და იდეოლოგიების გავლენით, სადაც სამართალი ასრულებს დაგეგმვის, სოციალური პროგნოზირების, ურთიერთობათა სტაბილურობისა და სოციალური თანხმობის უზრუნველყოფის ფუნქციას. გარდა ამისა, სოციალურ ინტეგრაციას უწყობს ხელს, „რამდენადაც საზოგადოების წევრებს უყალიბებს ერთიანობისა და სოციალური სოლიდარობის განცდას.“ (ხუბუა, 2015) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი ცხადყოფს, რომ ქართული პოლიტიკაში არ არის დამკვიდრებული სამართლებრივი აზროვნების კულტურა და დღის წესრიგი ყალიბდება არა სოციალურ-პოლიტიკური პროგრამებისა და იდეოლოგიების გავლენით ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხების სამართლიანად მოსაწესრიგებლად, არამედ ვიწრო კლანური, კასტური ინტერესებით.

ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე, რადიკალიზაციისა და უკიდურესი პოლარიზაციის გამომწვევი პოლიტიკური ძალების მიერ ქვეყნის მანკიერ წრეზე ტრიალისა და საზოგადოების გახლეჩვის დაუსრულებელი მცდელობანი, არამხოლოდ ევროინტეგრაციის პროცესს აფერხებს, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და საზოგადოების, როგორც ზნეობრივი ფენომენის არსებობასა და სიცოცხლისუნარიანობას უქმნის საფრთხეს.

პოლარიზაცია საზიანოა, როგორც ქვეყნის შიდა სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, აგრეთვე გეოპოლიტიკური სტაბილურობისთვის. მუდმივი მტრის ხატის ძიებას ჩაკეტილ წრეზე დაყავს ქვეყანა, ვინაიდან, არ ხდება არსებული გამოცდილების გადააზრება და პრობლემების მშვიდობიანი დიალოგის გზით გადაჭრა. ამ-

დენად, სოციალური კონფლიქტების შესამცირებლად, ფუნდამენ-ტური მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი აზროვნების კულტურის დამკვიდრებას და საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფების ურთი-ერთპატივისცემასა და სიმბიოზს. გარდა ამისა, პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში, მოქალაქეების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც თავს არცერთ პოლიტიკურ ძალასთან აიგივებს, ფაქტობ-რივად, ვერ ახერხებს პოლიტიკურ პროცესში ჩართვას. შედეგად, ზომიერი აზრი ერთგვარ ვაკუუმშია, ვინაიდან, პოლარიზებულ დისკურსში არ რჩება ამ შეხედულებების ადგილი. შესაბამისად, ალტერნატიული პოლიტიკური აზრისა და ძალის შემოსვლის პრობლემა დგება. მმართველობით პროცესში მოქალაქეთა ფართო სპექტრის ინტერესების დასაცავად, აუცილებელია არსებობდეს შუალედური სივრცე დიალოგისა და კომპრომისისთვის, სხვაგვა-რად მივიღებთ მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუცხოებასა და პოლიტიკურ აპათიას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდი-ნარე პოლიტიკურ პროცესში პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც პოლიტიკოსებს ისე საზოგადოებას. მნიშვნელოვანია, რომ ყველამ გააცნობიეროს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმ-დინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიებში პოლიტიკური ეთიკის კოდექსები მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენ-ტად, რომელიც ხელს უწყობს დიალოგის კულტურის განვითარე-ბას, მტრული რიტორიკის შეზღუდვასა და პასუხისმგებლობის სა-კითხის მორალურ-ზნეობრივ ჭრილში გააზრებას. მართალია, საქართველოში აქამდე დაწერილი პოლიტიკური ეთიკის კოდექ-სები ბუტაფორიულ ხასიათს ატარებს და ვერ ახდენს მყისიერ ზე-გავლენას მორალური ნორმების დაცვაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ამგვარი სტანდარტების არსებობა და ამ კუთხით, ცნობიერების

ამაღლება როგორც პოლიტიკოსებში, ისე საზოგადოებაში. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეთიკის კოდექსები, ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, რაც შესაძლებელს გახდის, რომ პოლიტიკურ პროცესში ჩაერთონ ზნეობრივი და მორალური ნორმებით მოქმედი, პასუხისმგებლიანი პიროვნებები, რომლებიც მტრის ხატების ძიებითა და რადიკალიზაციით კი არ დაანაწევრებენ საზოგადოებას, არამედ საერთო ეროვნული ინტერესიდან და სამართლებრივი აზროვნებიდან ამოვლენ და პირიქით, ხელს შეუწყობენ საზოგადოების ჰარმონიულ ერთიანობას საერთო მიზნის გარშემო.

ბიბლიოგრაფია

Comission, T. E. (2022, სექტემბერი 20). The Twelve Priorities. Retrieved სექტემბერი 11, 2024, from https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/twelve-priorities_en?s=221

Commission, E. (2022, jun 17). *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union.* Brussels. Retrieved March 23, 2024, from https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52022DC0405

EEAS. (2020, ოქტომბერი 29). ევროკავშირი აცხადებს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ევროპელ დიპლომატთა გუნდი დააკვირდება. Retrieved მარტი 22, 2024, from https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B-2020-%E

EEAS. (2021). ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის გამოსვლა 2021 წლის 9 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ გამართულ კონფერენციაზე „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გავლენა ევროკავშირი - საქართველოს ურთიერთობებზე. Retrieved აპრილი 3, 2024, from https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A-%E1%83%B0%E1%83%

Europe, C. O. (2023). *Progress of the Assembly's monitoring procedure.* Retrieved march 4, 2024, from https://rm.coe.int/progress-of-the-assembly-s-monitoring-procedure-january-december-2023-/1680adae8a

NDI. (2023, დეკემბერი 11). Retrieved სექტემბერი 2, 2024, from https://www.ndi.org/georgia-polls

Wiebler, P. (n.d.). It's Time for Georgia to Move Past Political Polarization and Deliver A Bold Vision for Economic Development. Retrieved march 23, 2024, from https://www.usaid.gov/georgia/news/its-time-georgia-move-past-political-polarization-and-deliver-bold-vision-economic-development

ანთაძე, ი. (2011, ოქტომბერი 21). ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან - შუა უნდა გაიკრიფოს. Retrieved სექტემბერი 2, 2024, from https://for.ge/view/6950/interviu-biZina-ivaniSvilTan---Sua-unda-gaikrifos.html

გეგეშიძე, ა., & ვაალი, თ. დ. (n.d.). "დაყოფილი საქართველო: პოლარიზაციის მძევალი". Retrieved აპრილი 1, 2024, from

https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-12/1639668223_dayofili-saqarthvelo_polarizaciis-mdzevali-1.pdf

გელაშვილი, თ. (2021). ულტრამემარჯვენე მოძრაობა საქართველოში და არჩევნების შემდგომი კრიზისი. *საქართველოს პოლიტიკური კრიზისი: პოლარიზაციის აქტორები და ინსტრუმენტები*, pp. 4-9. Retrieved სექტემბერი 13, 2024, from https://ge.boell.org/sites/default/files/2021-12/CAD123_georgian.pdf

გოგუა, გ. (2019, მაისი 20). პოლიტიკური პოლარიზაცია და საქართველო. Retrieved სექტემბერი 11, 2024, from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E

კუნჭულია, ლ. (2017, აპრილი 19). ევროკავშირი და ნატო საქართველოს კონსტიტუციაში. Retrieved აგვისტო 29, 2024, from https://www.radiotavisupleba.ge/a/natosken-stsrafva-da-konstitutsia/28438951.html

მაისტერი, შ. (2021, სექტემბერი). *კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი No 123*. Retrieved მარტი 28, 2024, from https://ge.boell.org/sites/default/files/2021-12/CAD123_georgian.pdf

რადიოთავისუფლება. (2021, სექტემბერი 2). "ნაციონალურმა მოძრაობამ" ხელი მოაწერა "მიშელის შეთანხმებას". *რადიოთავისუფლება*. Retrieved მარტი 1, 2024, from https://www.radiotavisupleba.ge/a/31439900.html

სილაგაძე, გ. (2023, თებერვალი 14). საზოგადოებაში ნაკლებად არის არეკლილი ის პოლარიზაცია, რაც გვაქვს პოლიტიკურ ელიტაში". Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/32270495.html

ფორმულა. (2021, 12 დეკემბერი). სტივენ ჯონსი: პოლარიზაცია ხალხში არ არის, ეს პარტიების პრობლემაა. *ფორმულა*. Retrieved აპრილი 1, 2024, from https://formulanews.ge/News/61602

ქუტიძე, დ. (2024, ივლისი 29). მწვავე პოლარიზაცია-არადემოკრატიული ხელისუფლების საყრდენი. Retrieved სექტემბერი 18, 2024, from https://www.gnomonwise.org/ge/publications/analytics/209

ჩიქოვანი, ნ. (2023, ოქტომბერი 11). სათქმელი. Retrieved სექტემბერი 14, 2024, from https://socialjustice.org.ge/ka/products/satkmeli-nino-chikovani

ჩხეტიანი, ლ. (2022, ოქტომბერი 19). პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში: რას ვგულისხმობთ სინამდვილეში? Retrieved მარტი 15, 2024, from https://socialjustice.org.ge/ka/products/politikuri-polarizatsia-sakartveloshi-ras-vguliskhmobt-sinamdvileshi

ცქიტიშვილი, ა. (2016, აგვისტო 23). პოლიტიკური პოლარიზაცია და მისი შედეგები საქართველოში. თბილისი. Retrieved მარტი 25, 2024, from http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18858&lang=geo

ხმა, ა. (2020, ნოემბერი 2). ბოიკოტი 2020: ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს. *ამერიკის ხმა*. Retrieved მარტი 15, 2024, from https://www.amerikiskhma.com/a/georgia-opposition-calls-for-protests/5645409.html

ხუბუა, გ. (2015). სამართლის თეორია.

Natia Zedginidze

The Process of European Integration and the Challenges of Political Polarisation in Georgia

Abstract

Georgia's European integration is closely linked to the implementation of numerous structural reforms aimed at establishing European values and standards. One of the most significant challenges in this process is political polarisation, which threatens the country's democratic and legal development. Since gaining independence, Georgian political thought has been characterised by extreme polarisation and a constant search for an enemy, driven by a lack of a culture of legal and moral-ethical reasoning, as well as narrow partisan or clan interests. This dynamic poses a serious threat to statehood and the development of a healthy society. In such an environment, there is little room for moderate, rational discourse in the political sphere. Individuals who do not align themselves with any radical group are effectively marginalised from the real political process, leading to their alienation and apathy.

The peaceful resolution of social conflicts, dialogue, and consensus are essential components of a democratic, pluralistic society. Therefore, it is vital for Georgia to break free from the vicious cycle of polarisation that has significantly hindered the country's socio-political and economic development over several decades. To overcome polarisation, it is crucial for both politicians and members of society to recognise that taking responsibility for the country's unfolding events, prioritising national interests, and pursuing a rational and collective effort towards a common goal are essential prerequisites for the nation's development.

Key words: Polarisation, Georgia, European integration